



თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა

STRATEGIC DEFENCE REVIEW

2021 - 2025



თავდასვლის სტრატეგიული მიმოხილვა

საჩივრი

მინისტრის წინასიტყვიანობა	3
შესავალი	6
1. უსაფრთხოების კონცეფცია	7
2. დაგეგმვის საბუღალტრო-პოლიტიკური ვიზია 2021-2025	10
3. თავდასვლის პოლიტიკისა და დაგეგმვის ჩარჩო	12
3.1. თავდასვლის დაგეგმვის მოკვანთების იერარქია და ინტეგრაცია	12
3.2. პოლიტიკა, დაგეგმვა და მენეჯმენტი	14
3.3. თავდასვლის დაფინანსება	16
4. თავდასვლის პოლიტიკის მიზნები და საინფორმაციო ამოცანები	17
5. სამომავლო ძაღვის ფორმირება	18
5.1. ოპერატიული კონცეფცია	18
5.2. ძაღვი სტრატეგიის განვითარება	18
5.3. ძაღვი მნიშვნელოვანი გამოქვეყნებები	20
5.3.1. ჩაჯივრი და მომხმარებელი	20
5.3.2. სპეციალური ოპერატიული	21
5.3.3. კომუნიკაციები	21
5.3.4. კვლევა და განვითარება	23
6. ინფორმაციული განვითარება	24
6.1. სტრატეგიული ოპერატიული ინფორმაციის მიმართული ძაღვისგება	24
6.2. ინფორმაციის მართვა საინფორმაციო	25
6.3. ამოცანით მართვა	25
6.4. სტრატეგიები და წვრთნები	27
6.5. განათლება და პროფესიული განვითარება	29
6.6. აღმართული ინფორმაციის სტრატეგიული მართვა	32
6.7. თავდასვლის ინფორმაციის მართვა	34
6.8. საბუღალტრო მოსამსახურებებზე ზრდვა	38
6.9. სტრატეგიული კომუნიკაციები	41
7. საერთაშორისო თანამშრომლობა თავდასვლის სფეროში	42
7.1. ორგანიზაციული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება	43
7.2. ნათესიანი, ეროვნული და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	43



ბნაფიკვი ბამონახუღებები

„A“ თავდასვლის ღებებვის ღოკუბენებვის იურირქი	13
„B“ თავდასვლის ღებებვისა ღნ ბირთვის სისებ	14
„C“ ანსებვი ქადთა სებუქებრა (2021)	19
„D“ სამობავღო ქადთა სებუქებრა (2025)	19
„E“ კიბერუსაფრთხოების სამი ფუნდამენტური ბანბოქიღებ	22



მინისტრის წინასიტყვაობა

თანამედროვე საფრთხეების თავისებურებების გათვალისწინებით, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა თითოეული მოქალაქისგან მეტ ჩართულობასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. წინამდებარე თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან, საფრთხეების შეფასების დოკუმენტსა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიასთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიულ ხედვას ჩვენი ღირებულებების, მოქალაქეების, თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დასაცავად და განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს ძლიერი და სტაბილური გარემოს შესაქმნელად ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის. აღნიშნული წარმოადგენს ერთობლივ ძალისხმევას, რომელიც მოითხოვს ყველა სახელმწიფო უწყებისა და მთელი საზოგადოების ჩართულობას და ასევე, კოორდინირებულ მოქმედებას ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსა და ინსტიტუტებთან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა თავდაცვის სისტემის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, გააანალიზა საქართველოს თავდაცვის ძალების არსებული მდგომარეობა, შესაძლებლობები და დამხმარე საშუალებები. მიმოხილვის შედეგად, სამინისტრომ დაისახა 2025 წლისთვის მისაღწევი მიზნები და განსაზღვრა ამ მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ნაბიჯები. წინამდებარე სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, როგორც საშუალოვადიანი დაგეგმვის სახელმძღვანელო, ძირითადად ფოკუსირებულია მომდევნო ხუთ წელიწადზე, თუმცა ის შექმნის მყარ ნიადაგს საქართველოს თავდაცვის ძალების გრძელვადიანი – ათწლიანი ტრანსფორმაციისთვის. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ავაშენოთ თანამედროვე, მოქნილი და ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალები, რომელიც მზად იქნება გაუმკლავდეს უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებსა და ჰიბრიდულ საფრთხეებს. სხვადასხვა გამოწვევის მიუხედავად, ეს არის თავდაცვის გრძელვადიანი დაგეგმვისა და, მაშასადამე, ძალისხმევის უწყვეტობის უზრუნველყოფის პირველი მცდელობა.



თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025 პასუხობს თავდაცვის პოლიტიკის მიზნებს და ითვალისწინებს არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება გვიწევს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მიმდინარე „ბორდერიზაციის“ ფონზე, რაც წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას და მნიშვნელოვნად აუარესებს რეგიონული უსაფრთხოების გარემოს. საოკუპაციო ძალების ყოველდღიური უკანონო ქმედებები ზრდის ახალი სამხედრო აგრესიის რისკს და ამზადებს ნაცოფიერ ნიადაგს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებისათვის. ჩვენი მოლოდინია, რომ ამ დოკუმენტით დადგენილი მიზნების მისაღწევად, საქართველოს მთავრობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტისთვის დაგეგმვის პერიოდის განმავლობაში, მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს გამოყოფს.

ჩვენი მიდგომის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ზრუნვა ჩვენს სამხედროებზე და მათ ოჯახებზე, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ წინაპართა ტრადიციების დაცვით, მორალისა და ღირსების მაღალი გრძობით. შესაბამისად, მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნებისთვის დიდ ძალისხმევას მივმართავთ სამხედრო მოსამსახურეებისთვის ღირსეული პირობების შექმნაზე, მათზე ზრუნვასა და დაფასებაზე. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025 ხაზს უსვამს კრიტიკული თავდაცვითი შესაძლებლობებისა და ძალთა გამაძლიერებლების განვითარებას საბრძოლო მზადყოფნის დონის ასამაღლებლად. ყურადღება გამახვილებულია შეიარაღების სისტემების შეძენაზე, მოდერნიზაციაზე და შენარჩუნებაზე, ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, პირადი შემადგენლობა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი აღჭურვილობით, წვრთნებით, საჭირო საგანმანათლებლო პროგრამებითა და ინოვაციებით. მსოფლიოს ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, მეტ დროსა და ენერჯიას დავუთმობთ ტრანსფორმაციის პროცესს.

მომავალი ხუთი წლის განმავლობაში მეტი ყურადღება დაეთმობა ტრანსფორმაციის პროცესის ინსტიტუციური მიმართულების გაძლიერებას. ამ კუთხით, გაგრძელდება ამოცანით მართვის ფილოსოფიის დანერგვა. საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის ამოცანით მართვა ინტელექტუალური და კულტურული ცვლილებაა, რომელიც წარიმართება განათლებაზე, ტრენინგებსა და ლიდერობაზე ყურადღების კონცენტრირებით.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, მნიშვნელოვანია ეროვნული მედეგობის შენარჩუნება და გაძლიერება. თანამედროვე კრიზისებმა და გლობალური ხასიათის გამოწვევებმა, რომელიც დაკავშირებულია პანდემიის გავრცელებასა და მის უარყოფით შედეგებთან, წარმოაჩინა საქართველოს თავდაცვის ძალების როლი არაპირდაპირ სამხედრო საფრთხეებთან გამკლავების საქმეში. ასევე, გამოიკვეთა კოორდინირებული ერთიანი სამთავრობო მიდგომის აუცილებლობა. საქართველოს თავდაცვის ძალები სრულ კოორდინაციაში იმყოფება სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან, რაც ეფექტურ წინაპირობებს ქმნის ნებისმიერი ტიპის გამოწვევის, მათ შორის, გლობალური პანდემიის დასაძლევად.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ფარგლებში აღებული ვალდებულებები კომპლექსურია და მოითხოვს არა მხოლოდ ეროვნულ ძალისხმევას, არამედ მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის. ჩვენთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორისა და საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამით გათვალისწინებული პროცესების თანამონაწილის, რჩევები და პრაქტიკული



მხარდაჭერა. უდიდეს ყურადღებას ვამახვილებთ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებაზე, მათ შორის, ნატო-საქართველოს არსებით პაკეტზე და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე, რაც კიდევ უფრო გვაახლოებს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ნატოსა და ევროკავშირში განწვრიანების პროცესის დასაჩქარებლად.

ჩვენ უზრუნველვყოფთ საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებასა და მომზადებას ნატოს სტანდარტების დაცვითა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ეს არის ჩვენი გაცნობიერებული არჩევანი და გვჯერა, რომ ჩვენი ძალისხმევა კარგ შედეგებს მოიტანს და გაზრდის ჩვენს სტრატეგიულ მზადყოფნას. ჩვენ ვრჩებით ჩვენი პარტნიორების ერთგულნი და ვაგრძელებთ ვალდებულებების შესრულებას საერთო უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად. ვამაყობთ ჩვენი სამხედროების უმნიშვნელო რეპუტაციით. ეს მიდგომა აგზავნის მკაფიო სიგნალს, მასზედ, რომ ჩვენი თავდაცვის ძალები არის მზად, არის სანდო და წარმოადგენს შეუცვლელ მოკავშირეს კოლექტიური გლობალური უსაფრთხოებისთვის.

ქართველი ხალხი ამაყობს საქართველოს თავდაცვის ძალებით და ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, მიმდინარე გამონწვევების ფონზე, ვემსახურო ქვეყანას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოზიციაზე. გარწმუნებთ, ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ არსებული რესურსებისა და ბერკეტების მაქსიმალური გამოყენებით, ერთიანი ძალისხმევით, ადეკვატურად ვუპასუხოთ სახელმწიფო თავდაცვის წინაშე მდგარ გამონწვევებს. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ველი საზოგადოებასა და ჩვენს პარტნიორებთან თანამშრომლობის გაგრძელებას, რამდენადაც ყველა ჩვენგანის მიზანი უკეთესი და უსაფრთხო მომავლის შენებაა.

ჯუანშეი ბუჩუღაძე საქართველოს თავდაცვის მინისტრი



შესავალი

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (შემდგომში - თსმ) 2021-2025 წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტს საშუალოვადიან პერსპექტივაში და შესაბამისობაშია სამინისტროს გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტებთან. დოკუმენტში ასახულია უსაფრთხოების გარემოდან მომდინარე საფრთხეები, უწყების წინაშე მდგარი გამოწვევები, მათი დაძლევის, ასევე, სამხედრო და არასამხედრო მიმართულებების განვითარების გზები, საშუალებები, ვადები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

თსმ ეფუძნება ოპერატიული გარემოს ყოველისმომცველ შეფასებას, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ძირითადი საფრთხეების განსაზღვრასა და არსებულ ძალთა სტრუქტურაში ნაკლოვანებების მიგნებას. შედეგად, დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ძალთა სტრუქტურას, საქართველოს თავდაცვის ძალების (შემდგომში - სთძ) მოთხოვნილებებს და ადგენს პრიორიტეტებს რესურსების განაწილებისთვის. თსმ ადგენს გადაჭრის გზებს განსაზღვრული პერიოდისთვის არსებულ და სამომავლო ძალთა სტრუქტურებს შორის სხვაობის აღმოფხვრის მიზნით.

თსმ-ის პროცესის განხორციელებისას თავდაცვის სამინისტრო ხელმძღვანელობს გრძელვადიანი განვითარების ხედვის დოკუმენტში გაჟღერებული სახელმძღვანელო პრინციპებით.

თსმ 2021-2025 ეფუძნება წინა წლების თსმ-ის ციკლში მიღწეულ პროგრესს. უკანასკნელ პერიოდში, სამინისტრო ფოკუსირდებოდა სთძ-ის ტრანსფორმაციის პროცესზე, რომელიც გულისხმობდა იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების ეტაპობრივ და მიზნობრივ აღმოფხვრას.

ერთ-ერთ პირველ ცვლილებას წარმოადგენდა ძალთა სტრუქტურის რეორგანიზაცია, ოპტიმიზაცია და სტანდარტიზაცია, სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და სთძ-ის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის ფუნქციითა და დუბლირების აღმოფხვრა. შედეგად, სამინისტრომ დაზოგა მეტი ფინანსური რესურსი თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისთვის.

საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აშშ-სა და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებს. „2016-2019 წლებში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ“ მემორანდუმს მოეწერა ხელი, რაც მხარს უჭერს ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, რეფორმების ხელშეწყობასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მხრივ, აშშ-საქართველოს თანამშრომლობის უმთავრეს ინსტრუმენტს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) წარმოადგენს, რომელიც შედგება წვრთნისა (GDRP-T) და ინსტიტუციური განვითარების (GDRP-I) კომპონენტებისაგან. თსმ უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ძალისხმევასა და მის ფარგლებში გამოყენებული მიდგომების გაგრძელებას მათი ეფექტურობიდან გამომდინარე. კერძოდ, GDRP ახდენს პრობლემის დეკონსტრუქციისა და გადაჭრის გზების მკაფიო ფორმულირებას შუალედური სამიზნე მაჩვენებლების წინასწარ განსაზღვრითა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს რისკებზე დაფუძნებული დაგეგმვის პროცესის უკეთ ორგანიზებას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და განხორციელების პროცესის მონიტორინგს.

სთძ-ის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ნატოს მხრიდან შესაბამისი გამოცდილების მიღების კუთხით, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის ფარგლებში. თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატი აღიარებულია უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მედეგობის შემდგომ განმტკიცებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას, რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობასა და ნატოში განწევრებისთვის საქართველოს მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფას.

საფრანგეთის რესპუბლიკის უწყვეტი დახმარებით, გაიზარდა საქართველოს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები. სამინისტრომ ხელი მოაწერა მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომლითაც უზრუნველყოფილია საჰაერო თავდაცვის სისტემების შექმნის გაგრძელება. სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმართულებაზე ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებაში, განსაკუთრებით კი რისკების მართვის სისტემის დანერგვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში, ფასდაუდებელი იყო გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა და ექსპერტთა ჩართულობა, რომელიც ახლაც მიმდინარეობს.



1. უსაფრთხოების კონსტაქსტი

საქართველო, როგორც შავი ზღვის ფართო რეგიონის ნაწილი, რეგიონში არსებული კომპლექსური უსაფრთხოების გამონვევების წინაშე დგას, რაც მეტწილად განპირობებულია რუსეთის ფედერაციის რევიზიონისტული ქმედებებით. რუსეთის ფედერაცია მიზნად ისახავს შავი ზღვის ფართო რეგიონში დასავლეთის ინტერესებისა და ძალის პროექტირების შესაძლებლობის შეზღუდვას, რისთვისაც მისდევს გამალებულ მილიტარიზაციას, ახდენს სამხედრო ძალების დემონსტრაციას და ავლენს გამოყენების მზაობას ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. რუსეთის ფედერაციის ქმედებები რეგიონის სტაბილურობას მნიშვნელოვან გამონვევებს უქმნის.

საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის ფართო რეგიონის ნაწილი, აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და რუსეთის ფედერაციის (ჩრდილოეთ კავკასიის) გზაჯვარედინზე მდებარეობს, რაც განაპირობებს კიდევ მის მნიშვნელობას გარე მოთამაშეებისთვის. მომიჯნავე რეგიონებში ვითარება არასტაბილურია. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ჩრდილოეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ინტენსივობის ტერორისტული აქტივობისა და საბრძოლო მოქმედებების თეატრებს და ხასიათდებიან მაღალი კონფლიქტური პოტენციალით.

სამხრეთ კავკასიის გარშემო არსებული არასტაბილური გარემო, რეგიონის უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი გამონვევების წინაშე აყენებს, რაც დიდწილად, გამონვეულია რუსეთის ფედერაციის ღია თუ ფარული მოქმედებებით, რომლებიც მიზნად ისახავს რეგიონის ქვეყნებისთვის დამოუკიდებელი





საგარეო პოლიტიკის წარმოების შეზღუდვას, ამ ქვეყნების რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ მოქცევის მცდელობას და მათი დასავლურ სამყაროსთან დაახლოება-ინტეგრაციის ხელშეშლას. აღნიშნული მიზნების მხარდასაჭერად, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში დისლოცირებულია და მათ მხარდასაჭერად სამხრეთ სამხედრო ოლქის სხვა ძალებიც არიან მზად. ამასთან, შავი ზღვის ფლოტი და ყირიმის ნახევარკუნძულზე განლაგებული სამხედრო დაჯგუფება აძლიერებს რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობებს და ზღუდავს დასავლური სამყაროს სახელმწიფოების წვდომას შავი ზღვის ფართო რეგიონზე.

უსაფრთხოების გამოწვევები

ლოკალური დონე - საქართველოს უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება რუსეთის ფედერაციის მცდელობა, არ მისცეს ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება და დააბრუნოს რუსული გავლენის სფეროში ან სულ მცირე, ხელი შეუშალოს ქართველი ხალხის ურყევ არჩევანს - ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებას. ამ მიზნების მისაღწევად, რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების, პრაქტიკულად, სრულ სპექტრს იყენებს. 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის ბერკეტის გამოყენებამ ვერ უზრუნველყო მისი მიზნების სრულად მიღწევა. ამიტომ, მომავალში სამხედრო მოქმედებები დღის წესრიგიდან სრულად მოხსნილი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს, რუსეთის ფედერაცია მუდმივად ახორციელებს ზეწოლას საქართველოზე ჰიბრიდული ელემენტების, მათ შორის, სამხედრო ძალის მუქარის გამოყენებით, რომლებიც მთლიანად მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციისკენ. ამის კარგი მაგალითია ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რომლის ინტენსივობაც ხშირად საქართველოს მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად იზრდება და წარმოადგენს სამხედრო კონფლიქტის განახლების პოტენციურ წყაროს.

რეგიონული დონე - შავი ზღვის ფართო რეგიონის უსაფრთხოების გარემო, პირველ რიგში, შავ ზღვაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო უპირატესობით ხასიათდება. რუსეთის ფედერაცია განუხრელად ზრდის სამხედრო შესაძლებლობებს სამხრეთ სამხედრო ოლქში, რაც მის სასარგებლოდ აისახა შავი ზღვის ფართო რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსზე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ სამხედრო დაჯგუფების სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდა, ხმელეთზე განლაგებული ჰაერსაწინააღმდეგო, ხომალდსაწინააღმდეგო, საავიაციო და საზღვაო შესაძლებლობების თავმოყრა და მათი ინტეგრირება ძლიერი წვდომისა და მანევრის შეზღუდვის ზონად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შავი ზღვის ფართო რეგიონის ნაწილის, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ფრაგმენტაცია. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფარგლებში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართომასშტაბიანმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეგიონში რუსული სამხედრო ყოფნა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, არსებობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის პერიოდული სამხედრო ესკალაციის ალბათობა, რაც გავლენას მოახდენს რეგიონული უსაფრთხოების გარემოზე. რეგიონის ქვეყნების განსხვავებული ხედვები უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე პრობლემატურს ხდის სრულყოფილი რეგიონული პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რაც უმარტივეს რუსეთის ფედერაციას რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებზე დომინირებას. საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ასევე, გამოწვევას



წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ვითარება ბოლო წლებში შედარებით სტაბილურია, მდგომარეობა საკმაოდ მყიფეა და ჩრდილოეთ კავკასია რჩება დესტაბილიზაციის პოტენციურ კერად.

გლობალური დონე - თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების სისტემა ამ ეტაპზე ხასიათდება რევიზიონისტული ძალების მცდელობით, მოახდინონ ცივი ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის ცვლილება რამდენიმე საკვანძო რეგიონში აშშ-ის და ევროპული ქვეყნების ინტერესების შეზღუდვის მიზნით, რაც რიგ შემთხვევებში სამხედრო ძალის დემონსტრირებისა და გამოყენების სახეს იძენს. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება ხელს შეუწყობს ძველი კონფლიქტების გაღვივებას, ახალი კონფლიქტების გაჩენას და მათ გადანაცვლებაში სამხედრო ძალის მნიშვნელობის ზრდას. ეს პატარა ქვეყნებისთვის ზრდის სტრატეგიულ გაურკვევლობას საკუთარ მომავალთან და უსაფრთხოების პოტენციურ გარანტიებთან დაკავშირებით და მათ სტრატეგიული გადანაცვეტილებების დაჩქარებულ რეჟიმში მიღების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები, რაც დამატებით ზენოლას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. არსებულმა ვითარებამ ცხადყო, რომ გლობალურ პანდემიას ძალუძს არსებული რესურსების განაწილების პროცესის შეფერხება, როგორც დიდ, ასევე, პატარა ქვეყნებში. მას, ასევე, შეუძლია შეამციროს პატარა ქვეყნებისთვის დახმარების განვცის შესაძლებლობა, რითაც გაძლიერდება რევიზიონისტული ძალების სურვილი ისარგებლონ მოცემული მდგომარეობით და მნიშვნელოვნად შეცვალონ ვითარება გარკვეულ გეოგრაფიულ არეალებში.



2. დაგეგმვის სამხედრო-პოლიტიკური პანაულები 2021-2025

უსაფრთხოების გარემოს შეფასების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური ვარაუდები, რომლებიც უახლოეს ხუთწლიან ციკლში თავდაცვის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს.

ლოკალური დონე

- საქართველოს უმთავრეს სამხედრო საფრთხედ დარჩება რუსეთის ფედერაციის მხრიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია.
- საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამონკვევად დარჩება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, უსაფრთხოების ფორმალური საერთაშორისო გარანტიების არარსებობა.
- რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, მისი ამოცანა საქართველოს სწრაფი დამარცხება იქნება;
- რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის განკარგულებაში არსებული ყველა ძალისა და საშუალების გამოყენება.
- რუსეთის ფედერაცია გააგრძელებს ჰიბრიდულ მოქმედებებს (მათ შორის, „ბორდერიზაციის“ პროცესს, კიბერშეტევებს, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებას) საქართველოში ეროვნული თანხმობის შერყევისა და საზოგადოებაში არსებული პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციის მიზნით;
- შენარჩუნდება საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა აშშ-ის, ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან;
- გაგრძელდება საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი;
- საქართველო გააგრძელებს მონაწილეობას ნატოსა და ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში;



რეგიონული დონე

- რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესები მის სამეზობლო რეგიონებში და მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში კვლავ იქნება დასავლეთისკენ ორიენტირებული აქტორების საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნება ან სულ მცირე, მათი დასავლეთთან ინტეგრაციის აღკვეთა;
- რუსეთის ფედერაცია შეინარჩუნებს კრიტიკულად მნიშვნელოვან სამხედრო შესაძლებლობებს და სამხედრო უპირატესობას შავ ზღვაზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
- აშშ-ის, ნატოსა და ევროკავშირის ინტერესები რეგიონში შენარჩუნდება და იქნება მყარი, ისინი გააგრძელებენ შესაბამისი ბერკეტების ძებნასა და შექმნას ამ ინტერესთა მხარდასაჭერად;
- აშშ, ნატო და ევროკავშირი შეინარჩუნებენ რუსეთის ფედერაციაზე გენოლის ბერკეტებს;
- მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დარჩება რეგიონში პოტენციური დესტაბილიზაციის კერად.

გლობალური დონე

- გლობალური პანდემიიდან მომდინარე არაპირდაპირი ეფექტები შეინარჩუნებენ გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე, ასევე, პოლიტიკასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- შენარჩუნდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლის კლებისა და ერი-სახელმწიფოების როლის გაზრდის ტენდენცია, რაც ზრდის საერთაშორისო პოლიტიკაში ძალის როლის მნიშვნელობას;
- პატარა ქვეყნებს მოუწევთ ახალ რეალობასთან ადაპტირება, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდულ სამანევრო სივრცესთან და მზარდ სტრატეგიულ გაურკვევლობასთან მათი უსაფრთხოების გარანტიებთან მიმართებაში, რაც მათ უბიძგებს საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობების ზრდისკენ.



3. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის ჩარჩო

თსმ 2021-2025 ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის მითითებებს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. წინამდებარე მიმოხილვა ადგენს საჭირო ცვლილებებს თავდაცვის დაგეგმვის პროცესში და სამინისტროსთვის დაგეგმვის ახალ მიდგომას განსაზღვრავს. დოკუმენტი წარადგენს თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის უფრო ეფექტურ სისტემას და მხარს უჭერს **უნყვეტი დაგეგმვის** მიდგომის დანერგვას.

3.1. თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტების იერარქია და ინსტრუქცია

თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაგეგმვის პროცესი ეფუძნება იერარქიულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც უწყებრივი დონის კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები ეროვნული დონის დოკუმენტებით გათვალისწინებულ დებულებებს ასახავს (**იხ. გრაფიკული გამოსახულება A**).

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ეროვნული ღირებულებები და ინტერესები მკაფიოდ განისაზღვრება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით. დოკუმენტი მიმოიხილავს უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებს, საფრთხეებს და აყალიბებს საერთო ხედვას თავდაცვის, უსაფრთხოების და სხვა სფეროებში. ამავდროულად, დოკუმენტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება ტოტალური თავდაცვის პრინციპს, ხოლო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიით. ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეები დეტალურად აღწერილია საფრთხეების შეფასების დოკუმენტში.

სამინისტრო უზრუნველყოფს სთძ-ის მაღალი დონის მზადყოფნას შესაძლებლობებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით. საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვა ხორციელდება არსებული ოპერატიული გარემოს გადახედვით და თსმ-ის შემუშავებით, რომელიც შეესაბამება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიას და ეფუძნება სამინისტროს გრძელვადიან ორგანიზაციულ ხედვას. სახელდობრ, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“ გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს ტენდენციების გათვალისწინებით, აყალიბებს სამინისტროს, მათ შორის, სთძ-ის გრძელვადიანი განვითარების სამოქალაქო და სამხედრო მიმართულებების ხედვებს.

თსმ ადგენს არსებულ და სამომავლო ოპერატიულ გარემოს და ხელს უწყობს სამომავლო ძალთა სტრუქტურის ჩამოყალიბებას. თავდაცვის დაგეგმვის ამ ფაზაში ხდება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება: არსებული ოპერატიული გარემო და უსაფრთხოების ტენდენციები. ამ ეტაპზე, სამინისტრო ახდენს სთძ-ის სრული მოთხოვნების იდენტიფიცირებას, მათ პრიორიტეტიზაციას და საბოლოო განსაზღვრას თავდაცვის საბიუჯეტო გათვლების შესაბამისად. ამ პროცესის შედეგად, შემდეგი ხუთი წლის პერსპექტივაში რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული გათვლები აისახება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD, საბიუჯეტო წელი + 3 დაგეგმვის წელი). უფრო კონკრეტულად, ამ დოკუმენტის ყოველწლიური განახლებით, სამინისტრო აყალიბებს თავდაცვის არსებულ ბიუჯეტს და ახდენს სამომავლო საბიუჯეტო გათვლებს, რაც შემდგომში თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო დოკუმენტში (საბიუჯეტო წელი + 3 დაგეგმვის წელი) აისახება. რაც შეეხება კონკრეტულ აქტივობებს, მათი განსაზღვრა თსმ-ის განხორციელების ყოველწლიურ გეგმაში ხდება.



3.2. პოლიტიკა, დაგეგმვა და განხორციელება

თსმ 2021-2025 აკავშირებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით, საფრთხეების შეფასების დოკუმენტითა და უმთავრესად - ეროვნული თავდაცვის სტრატეგიით და სამინისტროს გრძელვადიანი განვითარების ხედვით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რითაც უზრუნველყოფს თსმ-ის ტრანსფორმაციის პროცესსა და სტრატეგიული მზადყოფნის განმტკიცებას. დოკუმენტში, ასევე, გათვალისწინებულია ფორმალური პროცედურების ინსტიტუციური ასპექტები. აღნიშნული საკითხები, მნიშვნელოვანია პოლიტიკის წარმოებისა და დაგეგმვის ჯანსაღი და უწყვეტი პროცესის ორგანიზებისთვის. ამ მხრივ, თსმ-ში წარმოდგენილია გარკვეული სიახლეები პოლიტიკის განხორციელებისა და სტრატეგიული დაგეგმვის არსებულ მოდელში ცვლილებების შეტანის კუთხით.

თავდაცვის პოლიტიკის წარმოება - სამინისტრო შეიმუშავებს პოლიტიკის წარმოების დოკუმენტების სახელმძღვანელოს ორგანიზაციული პოლიტიკის განვითარებისთვის, კოორდინაციისთვის, დამტკიცებისა და მიმოხილვისთვის. თავდაცვის პოლიტიკის წარმოების სახელმძღვანელო აყალიბებს პოლიტიკის განვითარების პროცესის სტანდარტებს, ახდენს მათ ინსტიტუციონალიზაციას და ქმნის თავდაცვის პოლიტიკის წარმოების სისტემას. პოლიტიკის შემუშავების პროცესში, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ძალისხმევა სინქრონიზებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტების ინიცირებასთან, განხილვასა და მათ მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებთან.

თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის ჩარჩო - თსმ 2021-2025 ეფუძნება თავდაცვის დაგეგმვასა და მართვასთან დაკავშირებულ ახალ მიდგომას. თსმ-ის წინა დოკუმენტით გათვალისწინებული პროცესებიდან მიღებული გამოცდილების გაანალიზებამ გამოავლინა უწყვეტი დაგეგმვისა და პერიოდული მიმოხილვის საჭიროება ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. თავდაცვის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უწყვეტი დაგეგმვა გახდება თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის ჩარჩოს ორგანული ნაწილი (**იხ. გრაფიკული გამოსახულება B**). იგი მოიცავს დაგეგმვის, ბიუჯეტირების, გაზომვის, მონიტორინგის / შეფასების, ანგარიშგებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. პერიოდული მიმოხილვები, აუცილებელი შესწორებების შეტანა აუმაჯობებს პროცესს და იძლევა უწყვეტი განვითარებისა და შესწავლის შესაძლებლობას.



B. თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემა



სამინისტროს ბიუჯეტის შემუშავება მოხდება უწყების საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული გულისხმობს სთძ-ის არსებული საჭიროებების, რისკების, რესურსების, დანახარჯების ეფექტურობის გათვალისწინებასა და გარკვეული შესაძლებლობების სხვა პროგრამებზე ურთიერთგავლენისა და პრიორიტეტების განსაზღვრას რესურსების განაწილების მიზნით.

რისკების მართვის ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს სისტემაში, მათ შორის, რესურსების დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისთვის შემუშავდება რისკების მართვის პოლიტიკა და ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების დაგეგმვასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას საკუთარი უფლებამოსილების, მიზნებისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

რისკები შეფასდება საკვანძო მიმართულებებში არსებული რისკებისა და ნაკლოვანებების გამოვლენისა და შეფასების მიზნით, რომლებიც გავლენას ახდენენ სთძ-ის მზადყოფნაზე. აღნიშნული გათვალისწინებული იქნება საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავებისა და ალტერნატივებს შორის საკომპრომისო არჩევანის ანალიზის პროცესში. სთძ-ის საკვანძო მიმართულებებზე მზადყოფნის დაქვეითების გამომწვევი რისკების, ნაკლოვანებების იდენტიფიცირების მიზნით, შეფასდება სთძ-ის გენერალური შტაბისგან მიღებული მოხსენებები. ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მოახდენს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, გამოშვას, საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვასა და უზრუნველყოფას. დაუყოვნებლივი რეაგირება განხორციელდება კრიტიკული მნიშვნელობის რისკებზე. სტრატეგიული რისკების მართვა მოხდება უმაღლეს დონეზე, რაც გულისხმობს რისკების მართვის მყარი საკომუნიკაციო ქსელის შექმნას.

თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის ჩარჩოს ინსტიტუციონალიზაცია მოხდება თავდაცვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბებითა და თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში მოცემული პროცესებისა და პროცედურების ინიცირებით. ამ სისტემის დანერგვა დაეხმარება სამინისტროს უფრო თანმიმდევრული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებაში. სახელმძღვანელო შემუშავდება 2021 წლის ბოლომდე.

განხორციელება, შეფასება და ანგარიშგება – თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის განხორციელების გეგმა 2021-2025 გააერთიანებს ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, მოახდენს შუალედური სამიზნე მაჩვენებლების, მოსალოდნელი შედეგებისა და შესაბამისი ინდიკატორების იდენტიფიცირებას და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრას თითოეული აქტივობისთვის. ეს ხელს შეუწყობს თანმიმდევრულ მართვას, თითოეული აქტივობისთვის ბიუჯეტის განსაზღვრას და იმ რისკების იდენტიფიცირებას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ გეგმის იმპლემენტაციაზე. შედეგად, მიიღწევა მნიშვნელოვანი პროგრესი ტრანსფორმაციის პროცესში და მოხდება არსებული რესურსების ეფექტური და შედეგიანი გამოყენება.

განხორციელების გეგმის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი. დოკუმენტის სამხედრო ნაწილზე პასუხისმგებელია სთძ-ის გენერალური შტაბის J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი. გარდა ამისა, თსმ-ის იმპლემენტაციის დაგეგმვის პროცესში, ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად, აქტიურად ჩართულია რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც, ასევე, პასუხისმგებელია იმპლემენტაციის პროცესის კვარტალურ და წლიურ მონიტორინგსა და შეფასებაზე. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების, J-5 სტრატეგიული დაგეგმვისა და რეფორმებისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად, საჭიროების



შემთხვევაში, მოახდენენ დამტკიცებული განხორციელების გეგმის გადახედვას და კორექტირებას (ცვლილებების შემთხვევაში, ხდება განხორციელების გეგმის ხელახალი დამტკიცება). ამასთან, აღნიშნული ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტს თსმ-ით გათვალისწინებული შედეგების შესახებ.

3.3. თავდაცვის დაფინანსება

თსმ-ის დოკუმენტში განსაზღვრული სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები ემყარება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD), რომელიც მოიცავს მონაცემებს ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების განსახორციელებლად გამოყოფილ ეროვნულ რესურსებთან დაკავშირებით და ასახავს ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ. დოკუმენტი მოიცავს ოთხწლიან დაგეგმვის პერიოდს (საბიუჯეტო წელი + 3 დაგეგმვის წელი) და ხდება მისი ყოველწლიურად განახლება.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დადგენის პროცესის ფარგლებში, ხუთწლიანი ფინანსური პროგნოზირების პარამეტრების არარსებობის გამო, თსმ-ის ფინანსური პროექტირება 2025 წლისთვის ემყარება BDD-ის 2021-2024 წლების მაკროეკონომიკურ მონაცემებს. 2025 წლისთვის პროგნოზირებული პარამეტრები ითვალისწინებს 4-5%-იან ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის 3-4%-იან მაჩვენებელს. ნატოსთან თავსებადობის ამაღლება დარჩება საკვანძო სახელმძღვანელო პრინციპად სთძ-ის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით, სამინისტრო მოითხოვს თავდაცვის ბიუჯეტისთვის ფინანსური სახსრების მშპ-ის 2%-ის ფარგლებში გამოყოფას, რომლის 20%-მდე მოხმარდება ძირითადი სისტემების შექმნასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.



4. თავდაცვის პოლიტიკის მიზნები და სამინისტროს ამოცანები

სსახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის მიზნების შესრულება უზრუნველყოფილია ტოტალური თავდაცვის მიდგომით. ეს მიდგომა აერთიანებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რომლებიც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი უწყებების მიერ ხორციელდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ერთობლივად. ამდენად, სთდ-ის ამოცანები და დავალებები ეფუძნება ეროვნული თავდაცვის შემდეგ მიზნებს: შეკავებასა და თავდაცვას.

- **შეკავება** გულისხმობს ისეთი სამხედრო და პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას, რომლის პირობებში მონინააღმდეგე აცნობიერებს, რომ მისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევა დაკავშირებული იქნება მისთვის მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებთან.
- წარუმატებელი შეკავების შედეგად შესაძლოა განხორციელდეს გარე სამხედრო აგრესია. ასეთ შემთხვევაში, **თავდაცვა** გულისხმობს აგრესიის შეწყვეტასა და სტატუს-კვოს აღდგენას. სთდ-ის გამოყენებით ხელისუფლება იძენს საკმარის დროს პარტნიორების მობილიზებისათვის, რათა აგრესორზე განხორციელდეს პოლიტიკური, დიპლომატიური, ინფორმაციული, ეკონომიკური და სხვა ტიპის ზეწოლა.

სთდ-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფაში როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს. განსაზღვრული მიზნების შესრულებასთან ერთად, საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას სთდ-ის ტრანსფორმაციისა და ნატოსთან თავსებადობის ამალღების გზით. შეკავება და თავდაცვა ეროვნული თავდაცვის უმთავრესი მიზნებია, რომლებიც აისახება სამინისტროს სამ ძირითად ამოცანაში: **შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა**; **სამოქალაქო უწყებების მხარდაჭერა** სხვადასხვა საგანგებო მდგომარეობის დროს; რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებაში წვლილის შეტანა.

შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა – სთდ-ის გააქტიურება ხდება სამხედრო აგრესიის საპასუხოდ. შესაბამისად, სამინისტრო პასუხისმგებელია სთდ-ის შესაძლებლობების განვითარებაზე, რათა სთდ-მა შეძლოს დაკისრებული ამოცანების შესრულება. აღნიშნული სთდ-ის შესაძლებლობების განვითარებითა და საბრძოლო მზადყოფნის ამალღებით მიიღწევა. ამდენად, თსმ 2021-2025 ყურადღებას ამახვილებს სთდ-ის შესაძლებლობების ეტაპობრივ განვითარებაზე, რაც მიზნად ისახავს თანამედროვე, უფრო მოქნილი და ქმედითი ძალების ჩამოყალიბებას.

სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა – ფართომასშტაბიანი ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს, სთდ არის შეუცვლელი სამოქალაქო უწყებების დახმარების თვალსაზრისით. სთდ-ის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან ერთად, ეროვნული გვარდია ხელს უწყობს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისგან გამონჯველი ზიანის შემცირებას, სავაკუაციო-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას და სხვა აქტივობების განხორციელებას. სთდ-ის შესაძლებლობების განვითარების ფარგლებში, ყურადღება დაეთმობა საინჟინრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებზე რეაგირებასა და უწყებათაშორის თანამშრომლობას.

საერთაშორისო ვალდებულებები – სთდ მზად უნდა იყოს პარტნიორების დასახმარებლად, მათ შორის, რეგიონული და გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში წვლილის შესატანად. აღნიშნული განხორციელება მრავალმხრივ საერთაშორისო ოპერაციებში ჩართულობით, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით, თავდაცვის სფეროში ურთიერთობებისა და დიპლომატიური თანამშრომლობის გაღრმავებით. მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრო განაგრძობს მუშაობას ნატოსთან თავსებადობის ამალღების კუთხით. საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ერთგულება განამტკიცებს საქართველოს შესაძლებლობას, გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი.



5. სამომავლო ძალების ფორმირება

სამინისტრო ხელს შეუწყობს სახელმწიფო თავდაცვის მიზნების მიღწევას სამხედრო შესაძლებლობების განვითარებითა და სთმ-ის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებით. შეკავების წარუმატებლობის შემთხვევაში, სთმ-მა უნდა შეძლოს სამხედრო აგრესიის შეჩერება და მონინალმდევისთვის საკუთარი სამხედრო მიზნების მიღწევის ხელის შეშლა სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, წინასწარ დაგეგმილი და კოორდინირებული ღონისძიებების გატარებით მთელი ქვეყნის მასშტაბით. მონინალმდევებზე განხორციელებული სამხედრო ზეწოლა და მიყენებული ზიანი მისთვის მძიმე უნდა იყოს.

5.1. ოპერატიული კონცეფცია

უსაფრთხოების გარემო განსაზღვრავს სთმ-ის ოპერატიულ ხედვას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სამინისტროს მიერ შესაბამისი საბრძოლო შესაძლებლობებისა და მდგრადი ძალების ჩამოყალიბებაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე. შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, საქართველოსათვის შეუძლებელია ისეთი ძალის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, რომელიც ომის სხვადასხვა განზომილებაში შეძლებს ძალთა თანაფარდობის მიღწევას. ამდენად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის მიმართულებები, რომლებშიც სთმ-ს შეუძლია ეფექტურად მოქმედება და სხვადასხვა მეთოდის კომბინირებული გამოყენებით მონინალმდევებზე უპირატესობის მოპოვება.

საქართველოსა და მისი მონინალმდევის სტრატეგიული და ოპერატიული სამხედრო მიზნები უკავშირდება სახმელეთო სივრცის კონტროლს. ამდენად, არსებული რესურსები და ძალისხმევა მიმართული იქნება, ძირითადად, სახმელეთო შესაძლებლობების განვითარებისკენ, თუმცა ყურადღება, ასევე, დაეთმობა ომის ისეთ უმნიშვნელოვანეს განზომილებებს, როგორებიცაა: საჰაერო და კიბერსივრცე. სთმ-ის საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერება შეამცირებს მონინალმდევის, როგორც რაოდენობრივ (რესურსები) და თვისებრივ (ტექნოლოგიური), ასევე, საბრძოლო სწავლებებსა და გამოცდილებაზე დამყარებულ უპირატესობას.

5.2. ძალთა სტრუქტურის განვითარება


ძალთა სტრუქტურის ფორმირებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების პროცესი ითვალისწინებს სთმ-ის ოპერირებას არათანაბარ პირობებში, მასზე ბევრად აღმატებულ მონინალმდევსთან. სამომავლო ძალთა სტრუქტურა და თავდაცვის გასავითარებელი შესაძლებლობები ხელს შეუწყობს სთმ-ის ამოცანების შესრულების ხარისხს, რაც საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებულ დონეს დაეფუძნება.

სამომავლო ძალთა სტრუქტურის განსაზღვრასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების ვალიდურობისთვის, სთმ-ის გენერალური შტაბის მიერ ჩატარდა საბრძოლო მოდელირებების სერია, რომლის მიზანი სთმ-ის სამომავლო სტრუქტურის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, საბრძოლო შესაძლებლობების განვითარების სისწორის, მომავლის მოქმედების კონცეფციის ეფექტურობისა და მომავალი სტრუქტურებისა და საბრძოლო შესაძლებლობების განვითარების პრიორიტეტიზაცია იყო. ამ პროცესმა გამოავლინა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისა და საბრძოლო ფუნქციების განვითარების საჭიროება ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა: მართვა და კონტროლი, კომუნიკაციები, კავშირგაბმულობა, დაზვერვა, საჰაერო თავდაცვა, ავიაცია, ჯავშანსაწინააღმდეგო, არტილერია, მობილურობა და კონტრმობილურობა და სპეციალური ოპერაციების ძალები.


გრძელვადიანი ხედვისა და მიზნების შესაბამისად, მოხდება რესურსების გადანაწილება პერსონალის, ლოჯისტიკის, ინფრასტრუქტურის, განათლებისა და წვრთნების, ასევე, სისტემებსა და პროცესებს



თავდასვის სტრატეგიული მიმოხილვა



ც. არსებული ძაღთა სტრუქტურა (2021)



დ. საომარევი ძაღთა სტრუქტურა (2025)



შორის. სთძ-ის შესაძლებლობების განვითარება მოხდება სთძ-ს საბრძოლო ფუნქციებთან მიმართებაში. თსმ 2021-2025 მიზნად ისახავს აღნიშნული შესაძლებლობების განვითარებას და ახდენს მათ გადანაწილებას შემდგომი ექვსი საბრძოლო ფუნქციის ქვეშ: მართვა და კონტროლი, გადაადგილება და მანევრი, დაზვერვა, ცეცხლი, ლოჯისტიკა, დაცვა. ამისთვის განხორციელდება, როგორც ინსტიტუციონალური, ასევე არსებული თავდაცვითი შესაძლებლობების მიმართულებების გაუმჯობესება. ახალი შესაძლებლობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება მათი გრძელვადიანი ექსპლუატაციის სტანდარტები. ახალი თავდაცვითი შესაძლებლობების შექმნასთან ერთად, პრიორიტეტული იქნება არსებული შესაძლებლობებისა და საცეცხლე სისტემების მოდერნიზაცია და შენარჩუნება

5.3. ძალთა მნიშვნელოვანი გამაძლიერებლები

ძალთა ბალანსში არსებული ასიმეტრია საჭიროებს ძალისხმევას კონცენტრირებას ძალთა მნიშვნელოვან გამაძლიერებლებზე. მათი განვითარებით, არსებული ოპერატიული გარემოს გათვალისწინებით, სთძ უკეთესად შეძლებს დაკისრებული ამოცანების შესრულებას, განსაკუთრებით მონინაალმდგვის სამხედრო აგრესიის შეჩერების ფაზაში.

5.3.1. ჩაზიარება და მოზიარება

სახელმწიფო თავდაცვისა და შეკავების პრინციპების განხორციელებისთვის, რომელიც ტოტალური თავდაცვის მიდგომას ეყრდნობა, მნიშვნელოვანია ეფექტიანი და ქმედითი ეროვნული რეზერვისა და სამოზიარება სისტემის ჩამოყალიბება. უსაფრთხოების გარემოს დინამიკურმა ხასიათმა და მისგან მომდინარე საფრთხეებმა მოითხოვა არსებული რეზერვის სისტემის მოქმედების ფარგლების, სამოქმედო პრინციპებისა და ზოგადი მიდგომის გადახედვა. ვარგად ფუნქციონირებადი რეზერვისა და სამოზიარება სისტემის მიზანია სთძ-ის საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერება. ამასთანავე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია ერის კონსოლიდაცია.

შედეგი

ჩამოყალიბებულია ჩაზიარებისა და მოზიარების ეფექტიანი სისტემა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: აქტიური ჩაზიარება, სამოზიარება სისტემა და მხარდაჭერი მოხალისეები.

რეზერვისა და მოზიარების ეფექტიანი სისტემის შექმნა, როგორც ძალთა მნიშვნელოვანი გამაძლიერებელი, ხელს უწყობს სამხედრო აგრესიის პრევენციასა და შეკავებას. ომის ფაზაში, აღნიშნული სისტემის გამართული მუშაობის შედეგად მონინაალმდგვეს ეზრდება სამხედრო დანახარჯები. გარდა ამისა, რეზერვი მხარს უჭერს სხვა უწყებებს საგანგებო სიტუაციებზე (ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები) რეაგირებისა და გამონვეული ზიანის შემსუბუქების კუთხით.

სამინისტრო განაახლებს რეზერვისა და მოზიარების სისტემას მისი ეფექტიანობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით და შეიმუშავებს რეზერვისა და მოზიარების განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას. აღნიშნული ხედვა დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილების, ასევე, რეზერვისა და მოზიარების სისტემაში არსებული გამონვევების ანალიზს.



რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის გაუმჯობესების პარალელურად, დაიხვეწება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოდელიც, რომლის გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. ამრიგად, პირები, რომლებიც მოიხდიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს, გახდებიან ტოტალური ძალების ნაწილი.

გაუმჯობესებული რეზერვის სისტემის წარმატებით მიღება, ასევე, დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე. ამდენად, 2021 წლიდან სამინისტრო დაიწყებს მუშაობას საჭირო საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებაზე, რაც რეზერვისა და მობილიზაციის ახალი ხედვის ამოქმედების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

5.3.2. სპეციალური ოპერაციები

სპეციალური ოპერაციების ძალები სოძ-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. შედარებით მცირეზომის მიუხედავად, ისინი წარმოადგენენ მობილურ, უნიკალური უნარების, სპეციალური ცოდნისა და მტრის ფორმირებების წინააღმდეგ ასიმეტრიული ომის, ასევე, ბრძოლის დეცენტრალიზებულად წარმოების შესაძლებლობების მქონე მტკიცე ძალას.

შეჯამი

ბანიჯაქნიღია სოძ-ის სტრუქტურა და ქვედანაყოფები ბანჯითაჩაბუღი და ალჭუჩვიღია.

სპეციალური ოპერაციების ძალები საჭიროებენ სპეციალური აღჭურვილობის მუდმივ განახლებასა და შესაბამის წვრთნებს მათი საბრძოლო მომზადების მაღალი ხარისხისა და სპეციალური უნარების შესანარჩუნებლად. სამინისტრო განაგრძობს სოძ-ის შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც გააუმჯობესებს განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხს და შეამცირებს რეაგირების დროს. 2021 წლის ბოლოსთვის სპეციალური ოპერაციების ძალების სახელწოდება შეიცვლება სპეციალური ოპერაციების სარდლობად.



5.3.3. კიბერუსაფრთხოება

კიბერუსაფრთხოება მიჩნეულია უაღრესად მნიშვნელოვან ოპერატიულ განზომილებად. კიბერუსაფრთხოების მიზანია ძლიერი სისტემის შექმნა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მავნე ზემოქმედების ალბათობას და უზრუნველყოფს მონაცემებისა და ინფრასტრუქტურის სწრაფ აღდგენას




კიბერთავდასხმის ან კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების შემთხვევაში. ეს ძალისხმევა სამინისტროს სისტემაში უზრუნველყოფილი იქნება სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ. გაძლიერდება ბიუროს შესაძლებლობები, რაც სისტემაში უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვის გზით ხელს შეუწყობს კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების დროულ იდენტიფიცირებას და მათზე ეფექტურ რეაგირებას. პერმანენტული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარებით, გაიზრდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების ხარისხი.

შედეგი

კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების სწრაფი იდენტიფიცირება და ჩაახიჩხა, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების განვითარების ხელშეწყობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების/უსაფრთხოების სტანდარტების განვითარება.

კიბერუსაფრთხოების სწრაფად ცვალებადი ბუნების და გაციფრულების მნიშვნელობის ზრდის გათვალისწინებით, სამინისტროს სახელით, კიბერუსაფრთხოების ბიურო მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორებთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რათა ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გზით, ხელი შეუწყოს სამინისტროს კიბერშესაძლებლობების ზრდას.

კიბერ განზომილების ტრანსფორმაცია ტექნიკურიდან სტრატეგიულ განზომილებაში მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ამდენად, საუკეთესო შესაძლო შედეგების მისაღწევად, კიბერუსაფრთხოების ბიურო ფოკუსირებული იქნება სამ ფუნდამენტურ განზომილებაზე: **ადამიანი, პროცესები და ტექნოლოგია**. ეს სამი მიმართულება სტრატეგიულად განვითარდება მჭიდრო ეროვნული, საერთაშორისო და შიდაუნეებრივი თანამშრომლობით (**იხ. გრაფიკული გამოსახულება E**).



E. კიბერუსაფრთხოების სამი ფუნდამენტური განზომილება



5.3.4. კვლევა და განვითარება

სამხედრო სამეცნიერო კვლევითი შესაძლებლობების, თანამედროვე სამხედრო სისტემებისა და შეიარაღების განვითარების კუთხით, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (შემდგომში - „დელტა“) რჩება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს აქტივად ადგილობრივი და უცხოური სამხედრო ინდუსტრიული ბაზრებისთვის. მისი მოქმედების მთავარ სფეროდ განისაზღვრება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დიზაინი, აწყობა და სერიული წარმოება თანამედროვე სამხედრო ტენდენციებისა და საჭიროებების შესაბამისად. ამ პრიორიტეტული მიმართულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამინისტროს გრძელვადიანი ხედვა გულისხმობს „დელტას“ საწარმოო შესაძლებლობების თანდათანობით გაძლიერებას რეგიონულ და ევროპულ სამხედრო-სამეცნიერო ბაზრებზე დამკვიდრების და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის მიზნით.

„დელტა“, ასევე, კოორდინაციას უწევს განაღმვის ღონისძიებებს და ახორციელებს დემილიტარიზაციის პროგრამებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა კავშირის პერიოდის ფეთქებადი მონყობილობების გასანეიტრალებლად და ვადაგასული/გამოუყენებელი საბრძოლო მასალების გამოსაყენებლად. შესაბამისად, გაგრძელდება ჰუმანიტარულ გამნადმველ ოპერაციებში პარტნიორი სახელმწიფოების დახმარება.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დელტა“ ფოკუსირებული იქნება ორ მნიშვნელოვან მიმართულებაზე. კერძოდ, 2021 წლიდან დაიწყება „დელტას“ საწარმოო შესაძლებლობების გაფართოება ქვეყნის შიდა მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად. ცენტრი უზრუნველყოფს ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ასევე, მოახდენს პროდუქციის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე. 2025 წლისთვის, გაიზრდება სამხედრო დანიშნულების მასალებისა და შეიარაღების ექსპორტიც, რაც მოითხოვს წარმოების შესაძლებლობებისა და პერსონალის რიცხვის ზრდას.

შედეგი

საწარმოო შესაძლებლობები გაფართოებულია და სრულად აკმაყოფილებს შიდა ბაზრის მოთხოვნას; გაზრდილია სამხედრო დანიშნულების მასალებისა და შეიარაღების ექსპორტი.

ხარისხის მაღალი ღონის შენარჩუნება დარჩება ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად. შეიარაღებული მექანიზირებული საშუალებების, ჯავშანმანქანების, ტყვიაგაუმტარი/დაჯავშნული ჟილეტებისა და ჩაფხუტების, ტექსტილის, საბრძოლო მასალების ხაზის განვითარებისა და საჭაერო საშუალებების მოდერნიზაციის პროექტები განხორციელდება „დელტას“ და კერძო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში.



6. ინსტიტუციური განვითარება

თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების გარდა, თსმ 2021-2025 ორიენტირებულია ინსტიტუციურ რეფორმებსა და განვითარებაზე. სამინისტროს პერსონალის შესაძლებლობების განვითარება იქნება ის მთავარი ძალისხმევა, რომელიც მხარს დაუჭერს მიმდინარე და დაგეგმილ ინსტიტუციურ ცვლილებებს, სთძ-ის ტრანსფორმაციასა და სტრატეგიულ მზადყოფნას. განვითარებული ორგანიზაციის ჩამოყალიბება-შენარჩუნება და მისი მუდმივი სრულყოფა პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით მოხდება. 2021-2025 წლებში რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესებში საგრძნობი პროგრესის მისაღწევად, სამინისტრო მოახდენს ძალისხმევას სინქრონიზაციას და მეტ ყურადღებას დაუთმობს დაგეგმილი აქტივობების იმპლემენტაციის მონიტორინგს და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასებას.

სამინისტროს ორგანიზაციულ ცვლილებებზე მიმართული ძალისხმევა ყოველსომცველი და გრძელვადიანია. ამოცანით მართვა სთძ-ს ყველა დონეზე დაინერგება. აღნიშნული პროცესი თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში მიმართული იქნება ქვედა დონეზე ინიციატივის ნახალისებისკენ. ორგანიზაციული კულტურის ცვლილება ნატოს წევრ ქვეყნებთან თავსებადობას გაზრდის. ამ ცვლილების სრულფასოვანი დანერგვა ხელს შეუწყობს სთძ-ის მოქნილობას და ლეტალურობას. ასევე, ეროვნული მედეგობის განმტკიცებას ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების მიმართ.

თსმ-მ (2017-2020) გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრაც თავდაცვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა. აღნიშნული ხარვეზების ანალიზის საფუძველზე, მოცემულ თავში ასახულია პრობლემის გადაჭრის გზები და შესაბამისი აქტივობები. თითოეული ქვეთავი აღწერს კონკრეტულ შუალედურ შედეგებსა და აქტივობებს, რომელთა განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთო, სისტემური შედეგის მისაღწევად.

6.1. სტრატეგიული ოპტიმიზაციისკენ მიმართული ძალისხმევა

სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და თავდაცვის ძალებში გაგრძელდება მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, რაც მიმართული იქნება შესრულების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისკენ. მიმდინარე რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესის კონსოლიდაციის, ამავე პროცესთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავების, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და სამინისტროს რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი. საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების და ნატოს გამოცდილების გათვალისწინების მიზნით, სამინისტრომ, ასევე, შექმნა სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი.

სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და სთძ-ში კვლავ გაგრძელდება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ, იმდენად რამდენადაც სამინისტროს ინფრასტრუქტურის და ლოჯისტიკის სისტემის გაუმჯობესება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ინფრასტრუქტურის ყველა მიმდინარე და სამომავლო პროექტების კოორდინაციისა და ლოჯისტიკის სისტემის შემდგომი დახვეწის ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მართვის ორგანოს ფორმირების შესახებ.

სთძ-ის გენერალურ შტაბში რესურსების დაგეგმვის პროცესი გაძლიერდება J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის რესურსების დაგეგმვის განყოფილების რესურსების დაგეგმვისა და მართვის



სამმართველოდ გარდაქმნით. აღნიშნული უზრუნველყოფს თავდაცვის რესურსების ეფექტურ მართვას, გეგმის შესრულებასა და მონიტორინგს.

სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და გენერალურ შტაბში შეიქმნება ერთეულები, რომლებიც სინქრონულად იმუშავებენ სამხედრო მოდელირების სცენარების, სამაგიდო წვრთნებისა და სამომავლო ოპერატიული კონცეფციების შემუშავებაზე სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე.

მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები შეეხება საერთო საჯარისო ცენტრს, რომლის ფარგლებშიც ცენტრის ბაზაზე არსებული სკოლები გარდაიქმნება გვარეობებზე მორგებულ სპეციალიზებულ სკოლებად.

გაგრძელდება ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის სტრუქტურული ოპტიმიზაცია. საბრძოლო მასალების უკეთესი შენახვის მიზნით სარდლობაში შეიქმნება სპეციალური განყოფილება, ხოლო ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სისტემის დეცენტრალიზაციის ფარგლებში, ჩამოყალიბდება აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობის ლოჯისტიკური ცენტრები.

6.2. რისკების მართვა სამინისტროში

რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელშეწყობით, ეტაპობრივად განხორციელდება რისკის მართვის ფორმალიზებული სისტემის დანერგვა. ამისათვის, 2021 წელს დამტკიცდება სამინისტროს რისკის მართვის პოლიტიკა, რომლითაც განისაზღვრება სამინისტროში რისკის მართვის პრინციპები და სტრუქტურა, რისკის კატეგორიები, პასუხისმგებელი სუბიექტები, მათი ფუნქციები და სხვ.

შედეგი

რისკის მართვა არის სამინისტროს ყველა სახის აქტივობისა და პროცესის ინტეგრირებული კომპონენტი, რაც ხელს უწყობს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას მიღებას, სამინისტროს ამოცანების შესრულებას, ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებას, გაუმჯობესებულ ხარჯების თავიდან აცილებას, სამინისტროს საქმიანობის უწყვეტობასა და სამინისტროში დასაქმებულ პირებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას.

შემუშავდება და დამტკიცდება სამინისტროს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც, ასევე, განსაზღვრავს რისკის მართვის პროცესს სამინისტროში.

დაიგეგმება და განხორციელდება რისკის მართვის ტრენინგები რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, რისკის მართვის ფორმალიზებული სისტემის დანერგვაზე პასუხისმგებელი სუბიექტებისთვის და სამინისტროს სხვა თანამშრომლებისთვის რისკის მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების გაზრდის მიზნით.

6.3. ამოცანით მართვა

ამოცანით მართვა ეხმარება მეთაურებს იმოქმედონ სწრაფად და მტკიცედ ამისათვის ხელსაყრელ სამოქმედო გარემოში. აღნიშნულ ფილოსოფიაზე სრული გადასვლა ხელს შეუწყობს მეთაურების მიერ დასახული კონკრეტული სავალე ამოცანების შესრულებას, ასევე დაგეგმვის, კოორდინაციის და მიღებული დავალების დეცენტრალიზებულ აღსრულებას. არსებითად, ეს არის მრავალწლიანი ინიციატივა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე ყველა ორგანიზაციულ პროცესზე.



შედეგი

ნამოცანით მართვის ფორმირება ანახუნა დოქტრინაგსა და კონცეპტუალური დოკუმენტაციაში. მისი გადმოყენება ხდება სამინისტროს ოფისში და საქართველოს თანვერსვის ქაღაბში ყველა დონეზე.





ამოცანით მართვის დანერგვა გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა დონეზე. ამ ფილოსოფიის შემდგომი ინსტიტუციონალიზების მიზნით, მოხდება მისი ასახვა დოქტრინებსა და საგანმანათლებლო დოკუმენტებში. ყურადღება გამახვილდება იმ მოძველებული დოკუმენტებისა და რეგულაციების განახლებაზე, რომლებიც აფერხებენ ამოცანით მართვის დანერგვას. სამინისტრო შეიმუშავებს სცენარებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამოცანით მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება. სწავლების დაგეგმვის პროცესი ჩატარდება ნატოს კოლექტიური წვრთნებისა და სწავლების შესახებ დირექტივის მიხედვით, რაც საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის ნატოს პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად განვითარების საშუალებას გვაძლევს.

6.4. სწავლება და წვრთნები

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) წარმოადგენს აშშ-საქართველოს ერთობლივ წამოწყებას და ხელს უწყობს ქვეითი ბატალიონების სწავლებებთან, წვრთნებსა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნებას. GDRP-ის წარმატებით განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფისა და საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

საბრძოლო მოდელირება - კომპიუტერული სიმულაციური შესაძლებლობების დახმარებით განხორციელებული საბრძოლო მოდელირება და სამაგიდო სწავლებები გამოიყენება მომავლის ძალის ოპერატიულ კონცეფციაში არსებული შესაძლო ნაკლოვანებების იდენტიფიცირებისთვის. აღნიშნული ემსახურება სამომავლო ძალთა სტრუქტურის შემოწმებას, ოპერაციების წარმოების კონცეფციის დახვეწას და რესურსების პრიორიტეტიზაციისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. საბრძოლო მოდელირების ერთ-ერთი მიზანია ოპერატიული გარემოს გაცნობიერება და გადაწყვეტილებების ვალიდურობის დადგენა, რაც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას და მაშასადამე, გადაწყვეტილების მიღების პროცესს.





გასულ წლებში, სთძ-ის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) უზრუნველყოფდა საბრძოლო მოდელირების ჩატარებას განსხვავებულ სცენარებზე დაყრდნობით, თუმცა მხოლოდ ტაქტიკურ დონეზე. 2021 წლიდან, მეტი აქცენტი გაკეთდება დაგეგმვისწინა, სისტემურ, ოპერატიულ და მაღალი დონის ყოველწლიურ საბრძოლო მოდელირებებსა და სამაგიდო სწავლებებზე. ეს არა მხოლოდ შეიარაღების, თავდაცვის სისტემის ეფექტიანობისა და სთძ-ის ტაქტიკის ვალიდურობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არამედ, ასევე, მოახდენს რისკების იდენტიფიცირებას და გამოავლენს ხარვეზებს, რომლებიც უგულებელყოფილი ან გაუთვალისწინებელი იყო თავდაპირველი დაგეგმვის პროცესში.

საბრძოლო მოდელირება გააადვილებს მოძველებული სამხედრო შესაძლებლობებისა და აღჭურვილობის იდენტიფიცირებას და ასევე, გამოავლენს შედარებით მონყვლად ქვედანაყოფებს, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა ვერ გასტანს დიდხანს უფრო ძლიერ მონინააღმდეგესთან ბრძოლაში. საბრძოლო მოდელირება განსაკუთრებით ეფექტიანია გადანყვეტილებების მისაღებად ძალთა სტრუქტურისა და იმ საბრძოლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებიც ოპერატიული თვალსაზრისით ვერ დაეხმარება სთძ-ს, შეასრულოს დაკისრებული ამოცანები მომავლის საფრთხეებთან გასამკლავებლად.

ახალი მიდგომა მოითხოვს არსებული საბრძოლო მოდელირების პროცესების გადასინჯვას და შესაძლებლობების გაზრდას. ამ მიზნით, პარტნიორების დახმარებით სამინისტრო განაგრძობს საბრძოლო მოდელირებისა და სიმულაციის შესაძლებლობების განვითარებას. 2023 წლიდან JTEC-ის აღნიშნული შესაძლებლობები გაიზრდება. ასევე, ცენტრთან ერთად, სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და გენერალურ შტაბში შეიქმნება უჯრედები, რომლებიც სინქრონულად იმუშავებენ საბრძოლო მოდელირების სცენარების, სამაგიდო წვრთნებისა და სამომავლო ოპერატიული კონცეფციების შემუშავებაზე სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კიბერ განზომილების სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე საკითხების განსასაზღვრად. საერთო ჯამში, მომავალში სამინისტროს საბრძოლო მოდელირების საშუალებები ხელს შეუწყობს:

- ანალიზსა და კონცეფციის ჩამოყალიბებას;
- შესაძლებლობების განვითარებას;
- გადანყვეტილების მიღების პროცესსა და ოპერატიულ დაგეგმარებას;
- საგანმანათლებლო პროცესსა და სწავლებებს;
- შეიარაღების შემოწმებას;
- რესურსების პრიორიტეტიზაციას.

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) - ჩამოყალიბდება ნატოსთან ასოცირებულ წვრთნებისა და შეფასების ცენტრად და დაკომპლექტდება როგორც ქართველი, ასევე, ნატოსა და ნატოს პარტნიორი ქვეყნების პერსონალით. JTEC უზრუნველყოფს პერსონალისა და ქვედანაყოფების გადამზადებას ნატოს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. ცენტრს ექნება დაგეგმვის, აღსრულებისა და შეფასების გაზრდილი შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს წვრთნისა და შეფასების პროცესს ცოცხალი, ვირტუალური და კონსტრუქციული განზომილებით ბრიგადის დონემდე. დაიხვეწება და გაძლიერდება ბრიგადის ზემდგომ დონეზე კონსტრუქციული და ვირტუალური წვრთნების მხარდაჭერის, ხელშეწყობის, დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა, რაც კიდევ



უფრო მეტად გაზრდის ნატოსთან თავსებადობას. ეს სთმ-ს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ტაქტიკური დონის წვრთნებში ისეთ საერთო საჯარისო შენაერთებთან, როგორებიცაა: საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

შედეგი

GDRP სრულად ანის ბამოყენებული სთმ-ის საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების მოსამზადებლად (აღამიანური ჩასუხის, წვრთნა, აღჭურვილობა და შენარჩუნება) და მათი მოქმედების ხანისხის განსაზღვრად. ნაშონსა და კარტნიორი სახელმწიფოების ქაღების მასპინძლობისთვის JTEC-ის შესაძლებლობები გაზრდილია.

სამინისტრო განაგრძობს JTEC-ის შემადგენლობაში შემავალი საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) განვითარებას. მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს უკუკავშირს და ასევე, საგანმანათლებლო და წვრთნის პროგრამების განახლებასა და დახვეწას. ინოვაციების დანერგვის შედეგად, სამინისტრო გააგრძელებს ნატოს, ნატოს მოკავშირეების, პარტნიორების, შავი ზღვის და რეგიონული ქვეყნებისთვის უნიკალური პირობებით, რელიეფითა და საცეცხლე შესაძლებლობებით უზრუნველყოფილი სანვრთნელი ბაზის შეთავაზებას.

6.5. განათლება და პროფესიული განვითარება

სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს უდიდესი წვლილი შეაქვს თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში. შესაბამისად, სამინისტრო ყოველმხრივ დაინტერესებულია უზრუნველყოს მისი პერსონალი მსოფლიო დონის პროფესიული სამხედრო განათლებით, გადამზადებით და პროფესიული განვითარებით. საგანმანათლებლო კომპონენტსა და გადამზადების პროგრამებზე პასუხისმგებელია საერთო საჯარისო ცენტრი, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია და სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის ვადეტა სამხედრო ლიცეუმი, ხოლო პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ.

პროფესიული სამხედრო განათლება და გადამზადება გულისხმობს აკადემიურ განათლებასა და სპეციალიზებულ სწავლებებს. აღნიშნული ხელს უწყობს მომავალი სამხედროების, ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა-განვითარებას დაკისრებული მოვალეობების ქმედითად შესრულების მიზნით. მეორე მხრივ, პროფესიული განვითარება მოითხოვს შესაბამისი სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების გავლას, რაც სამინისტროსა და სთმ-ის შემადგენლობას ეხმარება უკვე განვითარებული უნარების გაუმჯობესებასა და კარიერულ წინსვლაში.

საერთო-საჯარისო ცენტრი – სამინისტრო გააგრძელებს წვრთნებისა და სამხედრო განათლების არსებული სისტემის ტრანსფორმაციას და განახორციელებს საერთო საჯარისო ცენტრის (CAC) რეფორმას გვარეობების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში აპრობირებულ და მიღებულ ე.წ. „სკოლების პრინციპზე“ გადასვლას.



CAC-ის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანია სთძ-ში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების ინსტიტუციონალიზაციისა და ნაკლები დანახარჯებით სასურველი შედეგის მისაღებად. ერთ სივრცეში ინტეგრირებული სკოლები, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სთძ-ის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას, გამოიწვევს ადამიანური და ფინანსური რესურსის მნიშვნელოვან დაზოგვას და საგრძნობლად გაზრდის სწავლების ხარისხს. CAC-ის განვითარება მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ სთძ-ის უმცროსი ოფიცრების, სერჟანტების და ვაჰრალ-რიგითების მომზადება განხორციელდეს ძირითადი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით, ერთიანი სტანდარტების შესაბამისად.

შედეგი

საერთო-საჯარისო ცენტრის გვარეობაზე მორგებული სპეციალური განხორციელებები.

რეფორმის ფარგლებში, სამინისტრო გააუმჯობესებს 100-ზე მეტი საწვრთნელი პროგრამის ხარისხს ოფიცრების, სერჟანტებისა და ყველა ტიპის სამხედრო სფეროს სპეციალისტებისთვის. რეფორმა გაზრდის CAC-ის შესაძლებლობებს ყველა წოდების მქონე პირს შორის გამოცდილების გაზიარების გაუმჯობესების გზით, რაც ხელს შეუწყობს გვარეობებისა და ტაქტიკური დოქტრინის განვითარებას.

აღნიშნული რეფორმა მოიცავს:

- **გვარეობებზე მორგებულ სტრუქტურულ ცვლილებებს** – CAC-ის ბაზაზე არსებული სკოლები გარდაიქმნება გვარეობებზე მორგებულ სპეციალიზებულ სკოლებად (ქვეითი; ჯავშანსატანკო; ლოჯისტიკის; სამხედრო სამედიცინო; ავიაციის; საჰაერო თავდაცვის; დაზვერვის; საინჟინრო და რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური დაცვის; კავშირგაბმულობის; არტილერიის). ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის ერთი გვარეობის სხვადასხვა დონის კურსების ერთი სკოლის ქვეშ გაერთიანება. თითოეული სკოლა, ასევე, ჩამოაყალიბებს დაგეგმვის, შეფასებისა და დოქტრინების ახალ განყოფილებას.
- **წვრთნის პროგრამის განვითარების პროცესის გაუმჯობესებასა და ხარისხის უზრუნველყოფას** – თითოეულ სკოლაში, ახლადფორმირებული დაგეგმვის, შეფასებისა და დოქტრინის განყოფილება იქნება ძირითადი ელემენტი სასწავლო პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
- **სკოლის დამატებით ფუნქციებს** – რეორგანიზაცია CAC-ს საშუალებას მისცემს პასუხისმგებლობა აიღოს ორ კრიტიკულ ფუნქციაზე: ტაქტიკური დოქტრინის განვითარება (დაგეგმვის, შეფასებისა და დოქტრინის განყოფილება პასუხისმგებელი იქნება ტაქტიკური დოქტრინის განვითარების ორგანიზებაზე) და გვარეობების განვითარება (ახალი ფუნქციის სახით, სკოლები პასუხისმგებელი იქნებიან ცალკეული გვარეობების განვითარების ხელშეწყობაზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში).

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია – არის ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც ემსახურება იუნკერთა მაღალი დონის სამხედრო და სამოქალაქო განათლებას. აკადემია მიზნად ისახავს მორალურ, ფიზიკურ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ ზრდაზე ორიენტირებულ მომავალ ოფიცერთა კორპუსის აღზრდასა და განათლებას.

სამინისტრო გააგრძელებს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის,



თავდასვლის სტრატეგიული მიმოხილვა



შედეგი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდასვლის აკადემიაში გაძლიერებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი შესაძლებლობები. აკადემია აწარმოებს ალიანსული უმაღლესი სახეობის საგანმანათლებლო დაწესებულებას.

საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება აკადემიის ინტერნაციონალიზაციას. პარტნიორობის დახმარებით, აკადემია განავითარებს დისტანციური სწავლების (ADL) ცენტრის კონცეფციასა და შესაბამის პლატფორმას. ამასთან, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდასვლის აკადემია გააღრმავებს კავშირებს საუკეთესო საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის ვადეტა სამხედრო ლიცეუმი – განაგრძობს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინდივიდების აღზრდას, რომლებიც იზიარებენ ეროვნულ და დემოკრატიულ ღირებულებებს და მიზნად ისახავს ვადეტების საბაზისო სამხედრო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფას. ყოველივე ეს ადრეული ასაკიდან ეხმარება სამხედრო სამსახურისადმი სიყვარულის, პატივისცემის გაღრმავებასა და სამხედრო პროფესიის დაუფლების სურვილის გაღვივებას. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის ვადეტა სამხედრო ლიცეუმი გააუმჯობესებს მის საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და ინფრასტრუქტურას. მაგალითად, აშენდება თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა და ჰოსპიტალი.

შედეგი

გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურა.



სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა – უზრუნველყოფს პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების პროგრამებსა და კურსებს ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია როგორც პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით, ასევე, თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ცოდნის გაღრმავებით. სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა აერთიანებს ქართველ და უცხოელ ექსპერტებსა და მკვლევარებს, და კონცენტრირებულია ოთხ სასწავლო მიმართულებაზე: კარგი მმართველობა უსაფრთხოების სექტორში; თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გაცნობიერება; უწყებათაშორისი ურთიერთგაგება; ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობა.

2022 წლისთვის დაგეგმილია სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში კვლევით-ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება. ნატოსთან თავსებადობის გაზრდის პოლიტიკის ფარგლებში, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ისწრაფვის დანერგოს ნატოს საუკეთესო პრაქტიკა. მთავარი მიზანია ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვება, რაც განამტკიცებს ნატოს ხარისხის მართვის სტანდარტებთან თავსებადობას.

შედეგი

საქართველოსა და შავი ზღვის ზონის ზონის რეგიონში სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა წარმოადგენს სწავლის სტრატეგიული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ხარისხის მართვისთვის, მას მოჰპოვებელი აქვს ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაცია და ხარისხის მართვის ეფექტური ფორმის აღიარება.

დასახული მიზნების განსახორციელებლად, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა გაზრდის ეროვნულ, რეგიონულ და ნატოს მასშტაბის შესაძლებლობებს, რათა წარმატებით და ეფექტურად შეასრულოს საკუთარი როლი სწავლებისა და განვითარების დარგში სპეციალურად მომზადებული, მათ შორის, ნატოს სერტიფიცირებული კურსების ოგანიზებით. სკოლა, ასევე, განავითარებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს სასწავლო მასალების მუდმივი განახლება და მათი რელევანტურობა. შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის განვითარების სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული აქტივობების წარმატებით განსახორციელებლად, სკოლა კონცენტრირდება თანამშრომლობის გაღრმავებაზე საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუტებთან როგორც ნატოდან, ასევე, ევროკავშირიდან. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და ერთობლივი პროექტების ხელმოწერასა და საგნობრივ ექსპერტთა ჩართულობაზე, რათა მოხდეს სასარგებლო უცხოური გამოცდილების გაზიარება.

6.6. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა

ადამიანური რესურსების მართვის გამართული სისტემა, ორგანიზაციული კლიმატის კვლევებთან ერთად, ძირითად როლს ასრულებს სამინისტროს ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის, ორგანიზაციული ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლების პროცესში.

ორგანიზაციული კლიმატის შეფასება – მრავალფეროვანი კვლევითი პროექტების დახმარებით, სამინისტრო შეისწავლის და აფასებს ორგანიზაციის ერთიან სურათსა და გარემოს, გამოკვეთს არსებულ პრობლემებს და კვლევის შედეგებზე დაფუძნებით გეგმავს საპასუხო პოლიტიკას. არსებული კვლევების დახმარებით, სამინისტრო იკვლევს და აფასებს დასახული ამოცანების პროგრესს, აყალიბებს ხედვას და მუდმივ განვითარებაზე ფოკუსირებულ კულტურას.



შედეგი

სამინისტროს მიერ შემუშავებული და კიდევ უფრო დახვეწილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ზრდის შერჩევისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას; უზრუნველყოფს თანამდებობაზე დანიშნვისა და გადამადრეკის გამართულ პროცესს; ხელს უწყობს უნარ-ჩვევების მართვას; უზრუნველყოფს კარიერის ტრენინგების უზრუნველყოფას; ახრჩვეს გენდერული თანასწორობის, კეთილსინდისიერებისა და ეთიკასთან დაკავშირებული საკითხების მხარდაჭერას.

კარიერის მართვა – სამინისტროს სისტემის ეფექტური და ეფექტიანი განვითარებისთვის, სამინისტრო სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს კარიერის მართვას. ნიჭიერი და შესაბამისი უნარების მქონე თანამშრომლების რეკრუტირების, განვითარებისა და შენარჩუნებისთვის, დამსახურებაზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვით, კარიერის მართვა ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. სამინისტროს ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია დამსახურებაზე დაფუძნებული სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მართვის სისტემების განვითარება და დანერგვა, შესაბამისად, ნატოსთან თავსებადი, თანამედროვე საქართველოს თავდაცვის ძალების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სამხედრო პერსონალის კარიერის მართვის კუთხით, ყურადღება გამახვილდება კარიერის მართვის ოპტიმიზაციაზე და ცენტრალიზებული კარიერის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე. ეს სისტემა პასუხისმგებელი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის პროფესიული და კარიერული განვითარების მოდელის შექმნაზე. საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის კარიერის მენეჯერები გამოიყენებენ ზემოთ ხსენებულ მოდელს, რათა დაგეგმონ თითოეული სამხედრო მოსამსახურის კარიერა და პროფესიული განვითარება.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ინიციატივების რიცხვის ზრდის პარალელურად, სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოს თავდაცვის ძალებში ინგლისური ენის შესაძლებლობების განვითარების (ELCD) მეტი ხელშეწყობის აუცილებლობა. სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ოპერაციებში. გაზრდილია მრავალეროვნული სწავლებების რაოდენობა და მათში მონაწილე პირადი შემადგენლობის რიცხვიც. ნატოს სხვადასხვა დონის სტრუქტურებში საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლის მივლინების შესაძლებლობის ზრდა და ასევე, ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარების საშუალება განაპირობებს ინგლისური ენის შესაძლებლობების განვითარების საჭიროებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მეტ ყურადღებას დაუთმობს ინგლისური ენის დონის ამაღლებას. სამინისტროს ეს ინიციატივა მიმართული იქნება არა მხოლოდ კარიერის მართვისა და პროფესიული განვითარების სრულყოფისკენ, არამედ, იქნება კიდევ ერთი პრაქტიკული საშუალება პრინციპის „მეტი საქართველო-ნატოში და მეტი ნატო-საქართველოში“ განსახორციელებლად.

გენდერული თანასწორობისა და კეთილსინდისიერების ამაღლება – სამინისტრო წარმატებით ახორციელებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკასა და აღებულ ვალდებულებებს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ შესაბამისად. ამასთან, სამინისტრო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ეთიკისა და კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებების გასაძლიერებლად, ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხები საგანმანათლებლო კურიკულუმებში ინტეგრირდება და გაძლიერდება კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.



6.7. თავდაცვის ჩასუნსების მართვა

რესურსების მართვის შემდგომი განვითარებისთვის განახლდება შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. სამინისტრო ხელს შეუწყობს რესურსების დეცენტრალიზებული მართვის განვითარებასა და მოთხოვნებზე დაფუძნებული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესის ინსტიტუციონალიზაციას. ამასთან, მოთხოვნებზე დაფუძნებული ბიუჯეტირების პროცესი უზრუნველყოფს რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას სთძ-ის მთლიანი მოთხოვნის, შესაბამისი დასაბუთების, რისკების შეფასებისა და გათვლილი დანახარჯების გათვალისწინებით. მოხდება იმ რისკების იდენტიფიცირება და მართვა, რომლებიც გავლენას ახდენენ სთძ-ის მზადყოფნის დონეზე. აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მოთხოვნებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავებისა და ალტერნატივებს შორის კომპრომისული არჩევანის ანალიზის პროცესებში სთძ-ის პრიორიტეტული საჭიროებების განსასაზღვრად.

შედეგი

დანედილია თავდაცვის ჩასუნსების მართვის ქვეითი სისტემა. ხონსიადება დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის მხარდაჭერი, ნათად განხილვი, დატადური კოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მონაცემებთან ერთად, გამოიყენება ჩასუნსების საჭიროებების დასადგენად თავდაცვის ამოცანების მხარდაჭერის მიზნით, სამინისტროს მართვადი რმოდის მიერ განსაზღვრული მითითების შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა და აღსრულება დადგინებული ბრიგადის დონეზე. შედარდენდობას ჩებუდარუდად უტადება ჩასუნსების მართვადი მონივსინაბული ტანინგბი.

სთძ-ის გენერალური შტაბის J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის რესურსების დაგეგმვის განყოფილება გარდაიქმნება სამმართველოდ და დაკომპლექტდება დამატებითი პერსონალით. ახალი სტრუქტურა გააუმჯობესებს რესურსების მართვის პროცესს თავდაცვის ძალებში და ხელს შეუწყობს ბიუჯეტის დაგეგმვის დელეგირებასა და აღსრულებას სარდლობების დონეზე საჭირო პროგრამების ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების ჩათვლით. ამის შემდეგ კი მოხდება უფლებამოსილების შემდგომი დელეგირება ბრიგადის დონეზე.

რესურსების მართვის სისტემისა და რესურსების მართვის პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციისა და საჭირო უნარების ასამაღლებლად, თავდაცვის რესურსების მართვის მოდული შეიქმნება სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში. ეს მოდული შესაბამის პერსონალს შესთავაზებს ორგანიზაციულ საჭიროებებსა და კარიერული განვითარების მიზნებზე დაფუძნებულ რესურსების მართვის ტრენინგ-პროგრამებს, მათი როლებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემა (IRMS) - ემსახურება რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. აღნიშნული სისტემა მრდის კრიტიკული ინფორმაციის ელექტრონულად ორგანიზების, შენახვისა და კონტროლის შესაძლებლობებს. IRMS ხელს უწყობს თავდაცვის რესურსების განაწილებას, პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.



შედეგი

სწრაფ ამოქმედებადი IRMS, რომლის ერთმანეთთან აკავშირებს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ტაბელის ფარგლებში განსაზღვრულ მოთხოვნებს შავადგანდობის, დოკუმენტაციისა და ინფრასტრუქტურის საკითხებთან.

რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემა შედგება შემდეგი მოდულებისგან: ქვედანაყოფების ორგანიზების და აღჭურვის ელექტრონული ცხრილები, ადამიანური რესურსების მართვის, ლოჯისტიკის, ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის, ინფრასტრუქტურის, სახელფასო, სამედიცინო, სარემონტო, წვრთნის, დანახარჯებისა და რესურსების დაგეგმვის მოდულები.

სტანდარტიზაციის მართვა და კოდიფიკაციის სისტემები - ნატოსთან თავსებადობის ამაღლება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც სთმ-ს ეხმარება იმოქმედოს ალიანსის წევრებთან კოორდინირებულად გადასროლის, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის, საერთაშორისო მრავალეროვნული სწავლებებისა და მისიების საკითხებში. ნატოს კოდიფიკაციის სისტემის (NCS) დანერგვა უფრო დაახლოებს საქართველოს ალიანსთან ისეთ სფეროებში თანამშრომლობით, როგორებიცაა ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, კვლევა და განვითარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია NCS-ის Tier 1 ქვეყნების ჯგუფიდან Tier 2 ქვეყნების ჯგუფში გადასვლა, რაც მონაცემთა ორმხრივ გაცვლას და NCS-ის ქვეყნებთან ინტერაქციის გაღრმავებას გულისხმობს.

შედეგი

მნიშვნელოვანი სტანდარტიზაციის შთანხმობები (STANAG) სთმ-ის მასშტაბით ინკორპორირებულია სტანდარტიზაციის მართვის სისტემაში. დანერგილია TIER 2 კოდიფიკაციის სისტემა.

სტანდარტიზაციის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს გადანაცვლების მიღების პროცესის ეფექტიანობას, გააუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს, შეამცირებს ბიუროკრატია და გააძლიერებს შიდა კონტროლის სისტემას. ასევე, ხელს შეუწყობს ინსტიტუციური მეხსიერების სისტემის შექმნას, შეფასების პროცესის ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილე ქვედანაყოფების უზრუნველყოფას მაღალი ხარისხის აღჭურვილობით. რაც შეეხება კოდიფიკაციის სისტემის გაუმჯობესებას, Tier 2 დონის მისაღწევად, 2024 წლისთვის, სამინისტრო ჩამოაყალიბებს კოდიფიკაციის ბიუროს, რაც საქართველოს მისცემს მოკავშირე სახელმწიფოებთან ეფექტური თანამშრომლობის საშუალებას საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის კუთხით.

ინფრასტრუქტურა და ლოჯისტიკა - გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად, სამინისტროში შემუშავდება სპეციალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მართვის ახალი ერთეულის ჩამოყალიბებას. ეს ორგანო შეიქმნება სამინისტროს სამოქალაქო ოფისში და დაექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვაზე. ახლადშექმნილი ორგანო მოამზადებს არსებული ნაკლოვანებების გადაჭრის ინსტიტუციურ ხედვას და პასუხისმგებელი იქნება ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის სისტემის ჩარჩოს განვითარებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სიახლის ამოქმედება 2022 წლამდე მოხდება.



შედეგი

ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მართვის ერთეული შექმნილია სამინისტროს სამოქალაქო ოფისში.

ინფრასტრუქტურა – ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მართვის ერთეული პასუხისმგებელი იქნება ინფრასტრუქტურის მართვაზე სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ფარგლებში, კერძოდ, ინფრასტრუქტურის მართვის ჩარჩოს განსაზღვრაზე, გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტიზაციაზე. ასევე, ხელს შეუწყობს საზედამოებლო ფუნქციის შესრულებას ინფრასტრუქტურული პროექტების დროულ შესრულებასთან მიმართებაში.

შედეგი

ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი სონიციდება განსაზღვრული ინფრასტრუქტურის პოლიტიკის შესაბამისად.

2021-2025 წლებისთვის დაგეგმილია სამინისტროს არსებული ინფრასტრუქტურის, კონკრეტულად კი ყაზარმების, საცხოვრებელი ბინების, ავტოსადგომის, კვების ობიექტებისა და სასაწყობო სივრცის, სპორტისა და რეკრეაციის, ასევე, სანვრთნელი ინფრასტრუქტურის გამართვა და განვითარება. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება დასავლური სტანდარტების შესაბამისად და გააუმჯობესებს იმ გარემო-პირობებს, რომელშიც სამხედრო და სამოქალაქო პირები ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას.

ლოჯისტიკა – ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის მართვის ახლადშექმნილი ორგანო ხელს შეუწყობს სთძ-ს, განავითაროს და აღასრულოს საბრძოლო მზადყოფნის მოთხოვნები, შესაბამისი პროცესები და პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია სთძ-ის დაკომპლექტებასთან, აღჭურვასთან, გამოყენებასთან და შენარჩუნებასთან. ამავე დროს, ის დაეხმარება სთძ-ს, განავითაროს თავდაცვის ძალების მზადყოფნის თვითშენარჩუნების უნარი.

მნიშვნელოვანია ვადაგასული და მოძველებული საბჭოთა პერიოდის სამხედრო აღჭურვილობის, საბრძოლო მასალისა და სხვა მარაგების ჩამონერის პროცესის დასრულება. აღნიშნული ინვენტარი და მარაგები გამოუსადეგარია ოპერატიული და სხვა მიზნებისთვისაც და მათი შენახვა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. შესაბამისად, გაგრძელდება მათი უტილიზაცია და ეტაპობრივი ჩანაცვლება ნატოს სტანდარტების სამხედრო აღჭურვილობით.

შედეგი

უზენაესი უფროსისა და შენარჩუნების პოლიტიკა შეიქმნა და დანერგა. საბრძოლო მასალების საცავები დასრულდა. მოქმედი შეიარაღების უტილიზაციის პროცესი დასრულდა.



თავდაცვის სტრატეგიული მიზნობა





განსაკუთრებული ყურადღება საბრძოლო მასალების ფიზიკური უსაფრთხოების და მარაგების მართვაზე (PSSM) გამახვილდება, რაც გაეროს საერთაშორისო საბრძოლო მასალების ტექნიკური სახელმძღვანელოს (IATG) მოთხოვნების დაცვით განხორციელდება. საბრძოლო მასალებისა და სხვა ფეთქებადსაშიში ტვირთის საცავების დაცულობა, ჩატვირთვა და ტრანსპორტირება მოხდება IATG-ის სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში შეიქმნება სპეციალური განყოფილება, რომელიც საბრძოლო მასალების საცავების სერტიფიცირებას მოახდენს. სამინისტრო დასოძგაგრძელებენ უზრუნველყოფისა და შენარჩუნების სისტემის განვითარებას თავდაცვის ძალების მზადყოფნის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. აღნიშნულის განსახორციელებლად, გაგრძელდება ლოჯისტიკური მხარდაჭერის სარდლობის სტრუქტურული ოპტიმიზაცია, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სისტემის დეცენტრალიზაცია რეგიონული დაყოფის (დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობა) შესაბამისად და შეიქმნება ოპერატიული დანიშნულების მარაგები. აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების ლოჯისტიკური ცენტრები დამოუკიდებლად, დეცენტრალიზებულად უზრუნველყოფენ ქვედანაყოფების მხარდაჭერას ყველა ტიპის მარაგით, ტვირთით და გადაზიდვებით.

6.8. სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვა

სამინისტროს სოციალური და სხვა ტიპის ზრუნვის პოლიტიკა მიმართულია სამხედრო და სამოქალაქო პირადი შემადგენლობის დახმარებისა და მხარდაჭერისკენ. აღნიშნული პოლიტიკა გაგრძელდება შემდგომ წლებშიც. ეს იქნება მრავალწლიანი მიდგომა, რომელიც გააერთიანებს ძალისხმევას სხვადასხვა მიმართულებაზე, როგორებიცაა: სოციალური ზრუნვა, საცხოვრებელი პირობები, საშეღავათო პროგრამები, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, დაჭრილ და დაზარებულ მებრძოლთა მხარდაჭერა და სხვა.

შედეგი

გაუმჯობესებულია სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვის პოლიტიკა, სოციალური მხარდაჭერის, საცხოვრებელი პირობებით/ბინებით უზრუნველყოფის, ფსიქოლოგიური და დაჭრილ-დაზარებულ მებრძოლთა მხარდაჭერის პროგრამების რაოდენობით.

სოციალური მხარდაჭერის პროგრამები – სამინისტრო განავითარებს და განახორციელებს სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკას და პროექტებს, რომლებიც პირად შემადგენლობას დაეხმარება ფინანსურ ორგანიზაციებთან უამდგომლობის, საბავშვო ბალებსა და სკოლებში ბავშვების რეგისტრაციის, დასაქმების მიზნით ოჯახის წევრების პროფესიული გადამზადების, ასევე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებში.

საცხოვრებელი პირობები და ბინებით უზრუნველყოფა – დანახარჯების შემცირების მიზნით, საცხოვრებლების მშენებლობაზე პასუხისმგებელი იქნება სამინისტროს სამშენებლო კომპანია. მიღებულ იქნება ზომები საცხოვრებელი ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოს გასაუმჯობესებლად სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და განსაკუთრებით, მათი შვილებისთვის. სამინისტრო, ასევე, განაგრძობს მრავალბინიანი სახლების მშენებლობას ქართველი სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და სამხედრო სამსახურში გამოცდილი, საიმედო შემადგენლობის შესანარჩუნებლად. შემადგენლობის ახალი და გარემონტებული საცხოვრებელი



თავდასვის სტრატეგიული მიმოხილვა

უზრუნველყოფის პროცესი დაიწყო 2021 წელს. პროექტი ითვალისწინებს ამხანაგობების მშენებლობას საქართველოს მასშტაბით, სადაც მსახურების დროს ჯარისკაცები ოჯახთან ერთად იცხოვრებენ. საერთო ჯამში, ბენეფიციართა რიცხვი 2500-ზე მეტ პირს მიაღწევს.

გემოაღნიშნულთან ერთად, 2021 წელს სამინისტრო დაიწყო სამინისტროს მფლობელობაში არსებული არაპრივატიზებული ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. საერთო ჯამში, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ხონის, სენაკის, თბილისისა და სხვა მუნიციპალიტეტების მასშტაბით, 5000-მდე ბინა იქნება პრივატიზებული.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა – სამინისტრო შეიმუშავებს და განახორციელებს ფსიქოლოგიურ რეკრუტირებასა და სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირების ფსიქოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს ღონისძიებებსა და მოქმედებებს პერსონალისა და მათი ოჯახის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

დაჭრილ და დაშავებულ მებრძოლთა მხარდაჭერის პროგრამა – ყურადღება დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საჭიროებებზე, სოციალურ და ფინანსურ დახმარებაზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე და გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების აქტიურ სამხედრო სამსახურში დაბრუნებაზე გამახვილდება. სთძ-ის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) ინფრასტრუქტურის სამსახურის მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო განყოფილება უზრუნველყოფს ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამებს დაჭრილ-დაშავებული მებრძოლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, ხოლო „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრის“ დახმარებით გაგრძელდება სამხედრო მოსამსახურეებისათვის პროთეზირებისა და ორთოპედიული მომსახურების განვითარება. ამასთან ერთად, სამინისტრო უზრუნველყოფს ქართველ მებრძოლთა ჩართვას დაჭრილ-დაშავებულთათვის ორგანიზებულ შესაბამის სპორტულ აქტივობებში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.







6.9. სტრატეგიული კომუნიკაცია

თანამედროვე ჰიბრიდულ გამოწვევებთან, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გამკლავებისა და მათი პრევენციის, ასევე, საზოგადოების სანდო ინფორმაციით უზრუნველსაყოფად, სტრატეგიული კომუნიკაციები სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალისხმევას წარმოადგენს. 2021 წლიდან უფრო გაძლიერდება სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობები, მათ შორის, ნატოს აკრედიტებული საერთაშორისო „ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების საბაზისო კურსის“ გაგრძელებით, მედია-სწავლება „ღირსეული პასუხით“, პროექტით „ჩვენი ჯარი“ და სხვა აქტივობებით. სამინისტროს ახლადფორმირებული „თავდაცვის ცენტრები“ საქართველოს რეგიონებში ვეტერანებს შესთავაზებს სხვადასხვა მომსახურებას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უზრუნველყოფს ინფორმაციით თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე, ორგანიზებას გაუწევს თემატური ლექციების ჩატარებას უსაფრთხოების, ომის, ჰიბრიდული საფრთხეების, დეზინფორმაციის, საინფორმაციო ოპერაციების და სხვა თემებზე. სამინისტროს „თავდაცვის ცენტრების“ მეშვეობით, საზოგადოება მიიღებს ყველა ხელმისაწვდომ მომსახურებას „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა, ასევე, ხელს შეუწყობს მეტი ახალგაზრდის მოზიდვას პროფესიულ სამხედრო სამსახურში.

შედეგი

სამინისტროს „თავდაცვის ცენტრები“ უზრუნველყოფს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში; საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცის ინსტიტუტი შემოღებულია ბრიგადის დონეზე.

სამინისტრო, ასევე, განავითარებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ოფიცის ინსტიტუტს, რომელიც ფართო საზოგადოებას გააცნობს სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტების მნიშვნელობასა და სარგებლიანობას, ასევე, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას საერთაშორისო და ეროვნულ სამხედრო წვრთნებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მიმდინარე წლიდან, აღნიშნული ინსტიტუტი შემოღებულ იქნება ბრიგადის დონეზეც.



7. საერთაშორისო თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის - ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების უზრუნველყოფის, ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრის, თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების, გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო მიისწრაფვის პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობისკენ. ამასთან, სთმავს აგრძელებს თვალსაჩინო წვლილის შეტანას საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებაში, რაც, ამავე დროს, მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და საქართველოს აყალიბებს უსაფრთხოების მიმწოდებელ საიმედო პარტნიორად. ქართველი სამხედროები გააგრძელებენ მონაწილეობას ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (Resolute Support Mission) და ევროკავშირის სანვრთნელ მისიებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში. სთმ-ის საჭიროებების შესაბამისად, სამინისტრო განაგრძობს ღირებული, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიღებასა და საკუთარი გამოცდილების წარმატებით გაზიარებას. საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და ხელს უწყობს პარტნიორების ძალისხმევის მობილიზებას სთმ-ის ამოცანების შესასრულებლად.

შედეგი

ნატოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობა გაღრმავებულია. ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებები შესრულებულია. შექმნილია აუთ-თან თანამშრომლობის ახალი, ბიძგადაცემი ფორმატი. ბიძგადაცემა ევროკავშირის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის განვითარება. ნატოს ყვია წევრ სახელმწიფოსთან განვითარებულია ორმხრივი თანამშრომლობა. პანთნიონებთან შეთანხმებით, ორმხრივი თანამშრომლობის ანსაბუდი ანთმდინანი ფორმატი ბანდაიქმნა მანვანდლიან ფორმატად. ნატო/ევროკავშირის საერთაშორისო მისიებსა და სწავლებებში მონაწილეობისთვის გზაყოფნის დონე შენარჩუნებულია. ბიძგადაცემა პანთნიონ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება და განვითარება.

თსმ 2021-2025-ის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად სტრატეგიულ მიზნებად განისაზღვრა:

- თავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი განვითარებისა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლების მხარდაჭერა;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო უსაფრთხოების, მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში სთმ-ის მონაწილეობის მხარდაჭერა;



- თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისა და ურთიერთთავსებადობის ამალღების მიზნით, საერთაშორისო სწავლებების მასპინძლობისა და მათში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- სამართლებრივი საფუძვლების განვითარება პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისათვის.

7.1 ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების განვითარებას ორმხრივი თანამშრომლობის დაგეგმვის, უმაღლესი დონის ვიზიტების, ექსპერტთა შეხვედრების, პროფესიული განვითარების პროგრამებისა და სამხედრო წვრთნების გზით. ძირითადი აქცენტი გაკეთდება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ - ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე. თანამშრომლობის უმთავრეს პრიორიტეტად დარჩება სთძ-ის თავდაცვითი შესაძლებლობებისა და საბრძოლო მზადყოფნის განვითარება. აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი მიზნებია:

- უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სამწლიანი ჩარჩო ხელშეკრულების (2019-2022) წარმატებული იმპლემენტაცია და მისი გარდაქმნა თანამშრომლობის გრძელვადიან ფორმატად;
- სთძ-ის მზადყოფნის ამალღება და მისი თავდაცვითი შესაძლებლობების მოდერნიზაცია;
- საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) წარმატებით დასრულება და GDRP-ის შემდგომი ორმხრივი ძალისხმევის მიმართვა ბრიგადების საბრძოლო მზადყოფნის დონის გენერირებასა და შენარჩუნებაზე, რათა მათ შეძლონ საერთო საჯარისო ოპერაციებში წარმატებით მონაწილეობა.
- ნატოს სტანდარტების აღჭურვილობაზე გადასვლა და თანამშრომლობის გაღრმავება ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორცაა: JTEC-ის მოდერნიზაცია და სპეციალური ოპერაციების ძალების, დაზვერვისა და კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება;
- აშშ-საქართველოს მრავალეროვნული სწავლებების (Agile Spirit, Noble Partner, Swift Response) მასპინძლობა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის ეგიდით ჩატარებულ წვრთნებში მონაწილეობა.

სამინისტრო განაგრძობს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან. ყურადღება გამახვილდება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

7.2. ნატოსთან, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდასაჭერად, ალიანსთან პარტნიორობის გაღრმავება და თანამშრომლობის ყველა არსებული პრაქტიკული მექანიზმის ეფექტურად გამოყენება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. ძირითადი აქცენტი გაკეთდება სთძ-ის ნატოსთან თავსებადობის გაზრდაზე სხვადასხვა კომპონენტში. აქედან გამომდინარე, სამინისტრო განაგრძობს ნატოსთან აღებული საერთაშორისო ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, მათ შორის, ნატოს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში წვლილის შეტანას. განახლებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Refreshed SNGP) ფარგლებში, რომელიც ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების



მიერ 2020 წლის 2 დეკემბერს დამტკიცდა, ყურადღება გამახვილდება ნატოს, ალიანსის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი რესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე. თავსებადობის ამაღლებას პირდაპირი გავლენა ექნება ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობებისა და მედეგობის გაძლიერებაზე, ასევე, ნატოს სრულფასოვანი და ღირებული წევრობისთვის მზადყოფნაზე. სამინისტრო გააგრძელებს ალიანსთან აქტიურ პოლიტიკურ და პრაქტიკულ დიალოგს ნატო-საქართველოს კომისიის (NGC), ასევე, თანამშრომლობის სხვა არსებული პრაქტიკული მექანიზმებისა (ANP, PARP, SNGP, MC+GEO სამუშაო გეგმა და განხორციელების გეგმა) და პროგრამების ფარგლებში. განახლებული SNGP-ის ფარგლებში განსაზღვრული 16 ინიციატივა წარმატებით განხორციელდება.

